საგადასახადო დავალება
Payment Order

1750753604 GEL

მიღების/შესრულების თარიღი: 2025-06-24
Receipt/Execution Date

თიბისი ბიზნესისთვის

ს.ს. "თიბისი ბანკი"

გადამხდელი / Sender		რეფერენსი / Ref. Num.
შპს 'ვიმ-ბილ-დან საქართველო', 204546553		16262440120
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE12TB0690036020100002	თანხა / Amount
გადამხდელის ბანკი / Sender's Bank	ბანკის კოდი / Bank Code	42000.0GEL
სს "თიბისი ბანკი"	TBCBGE22	თანხა სიტყვიერად Amount in words
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა **Information on a person on behalf of whom the payment is made**		ორმოცდაორიათასი ლარი და 00 თეთრი
დასახელება / Name		
საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code		**წარდგენის თარიღი** **/ Document Submission Date**
მიმღები / Receiver		2025-06-24
ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ		
სახაზინო კოდი / Treasury Code	300773263	
ხაზინა / Treasury	ბანკის კოდი / Bank Code	ხელმოწერა Signature
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	TRESGE22	
გადახდის დანიშნულება / Operation Details		
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო		
დამატებითი ინფორმაცია / Additional Information		
დადგენილება 005294,005295,005296,005297,005298,005299		

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოთხსენებულ ხელშეკრულებას

დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

№ 4-21/011-25
"03" 06 2025 წ.

დადგენილება №005296
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

03.06.2025წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა, განვიხილე 2025 წლის 24 მარტის №005296 მითითება და 2025 წლის 15 აპრილის №005296 შემოწმების აქტი შედგენილი, **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** (ს/ნ №204546553 მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, სოფელი ფონიჭალა) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივარი, მიმდებარედ, №01.18.13.039.105 (ყოფილი საკადასტრო კოდი №01.18.13.039.011) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** მიერ, განხორციელდა საწყობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2315379 27.11.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: გადახურვაზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები, საკომუნიკაციო მილები და მზის პანელები. შეცვლილია F2 ფანჯრის ვიზუალი. **„E-A" ფასადზე:** გადახურვაზე დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილები, აგრეგატები, ლითონის კიბეები და მოაჯირები. „C-E" მონაკვეთში +5.10 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ფანჯრის ღიობი. შეცვლილია არსებულ კედელსა და გადახურვას შორის მანძილი. **„A-E" ფასადზე:** "E" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია აგრეგატები. **გეგმა ±0.00 ნიშნულზე:** „1" მონაკვეთში „ა" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კედელი (კარის ღიობით).

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2025 წლის 24 მარტს შედგა №005296 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ობიექტის, შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად, უსაფრთხოების წესების დაცვით.

2025 წლის 15 აპრილს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №005296 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

საქმეშია, 2025 წლის 29 მაისის №10/01251493468-17 განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება აღნიშნულ დარღვევებს და ითხოვს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი სპეციალისტის, 2025 წლის 3 ივნისს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ დღეის მდგომარეობით **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** მიერ არ არის შესრულებული 2025 წლის 24 მარტის №005296 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, 2019 წლის 03 დეკემბრიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს კანონი "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" (სარეგისტრაციო კოდი №330090000.05.001.019104; გამოქვეყნების თარიღი 13.08.2018წ.). მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის "ა.დ." ქვეპუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევაზე გათვალისწინებულია ჯარიმა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულია საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის "ა.დ." ქვეპუნქტის ამოქმედებამდე (აღნიშნული დასტურდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ნოემბრის №2315379 ბრძანებით, რომლითაც მშენებლობის ვადად განსაზღვრული იყო 2015 წლის 27 დეკემბრიდან 2016 წლის 27 თებერვლის ჩათვლით), ხოლო საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს", შესაბამისად არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივარი, მიმდებარე [illegible] №01.18.13.039.105 (ყოფილი საკადასტრო კოდი №01.18.13.039.011) საკადასტრო [illegible] რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** [illegible] განხორციელდა საწყობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის [illegible]. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2315379 27.11.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: გადახურვაზე დამატებით მოწყობილია [illegible] მოაჯირები, საკომუნიკაციო მილები და მზის პანელები. შეცვლილია F2 ფანჯრის ვიზუალი. **„E-A" ფასადზე:** გადახურვაზე დამატებით მოწყობილია

საკომუნიკაციო მილები, აგრეგატები, ლითონის კიბეები და მოაჯირები. „C-E“ მონაკვეთში +5.10 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ფანჯრის ღიობი. შეცვლილია არსებულ კედელსა და გადახურვას შორის მანძილი. **„A-E“ ფასადზე:** “E” ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია აგრეგატები. **გეგმა ±0.00 ნიშნულზე:** „3-3-1“ მონაკვეთში „ა“ ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კედელი კარის ღიობით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 47-ე მუხლის მე-2 პუნქტით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.დ.” ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო”** დაჯარიმდეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივარი, მიმდებარედ, №01.18.13.039.105 (ყოფილი საკადასტრო კოდი №01.18.13.039.011) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, IV კლასის შენობა-ნაგებობის (საწყობი)კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისთვის;

2. **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო”-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო”-ს** დაევალოს, შესაბამისი დადასტურების ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ [illegible] კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო

სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი ზვიად ჩიქოვანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-21ლ0009-25
"03" 06 2025 წ.

დადგენილება №005294
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

03.06.2025წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა, განვიხილე 2025 წლის 24 მარტის №005294 მითითება და 2025 წლის 15 აპრილის №005294 შემოწმების აქტი შედგენილი, **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** (ს/ნ №204546553 მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, სოფელი ფონიჭალა) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივარი, მიმდებარედ, №01.18.13.039.105 (ყოფილი საკადასტრო კოდები №01.18.13.039.026 და №01.18.13.039.011) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** მიერ, განხორციელდა რძის პროდუქტის საწარმოს რეკონსტრუქციის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №01/1354 16.09.2009წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია აგრეგატები, ლითონის კონსტრუქციები და კიბეები, რკინა-ბეტონის ფილები, დამხმარე ნაგებობები და ლითონის რეზერვუარები. ასევე რეზერვუარების მხარეს ფილა და ღობე სცდება საკადასტრო საზღვარს და გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე. სასაწყობე შენობა, შეცვლილია კარ-ფანჯრების რაოდენობა, გაბარიტი და ვიზუალი. სახურავზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები და მზის პანელები. შეცვლილია შენობის ნიშნულები. ფასადებზე დამატებით მოწყობილია აგრეგატები, სახანძრო კარადა, საკომუნიკაციო მილები და ღობები, ასევე წყალშემკრები მილები. **პირველი სართულის** [illegible] დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები და კიბეები. [illegible] მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ანტრესოლი. საწარმოო შენობაში შეცვლილია კარ-ფანჯრების რაოდენობა, გაბარიტი და ვიზუალი. [illegible] გეგმარება. შეცვლილია ნიშნულის დონეები. სახურავზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები და მზის პანელები. შენობაზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები, აგრეგატები, საკომუნიკაციო მილები და ღობები ცხაურებით, ლითონის მსუბუქი კონსტრუქციები და კიბეები. **ანტრესოლის გეგმა:** „1" ღერძის გარეთ „ა-ე" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები ვიტრაჟებით და კარებით.

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2025 წლის 24 მარტს შედგა №005294 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა ობიექტის, შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად, უსაფრთხოების წესების დაცვით.

2025 წლის 15 აპრილს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №005294 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

საქმეშია, 2025 წლის 29 მაისის №10/01251493468-17 განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება აღნიშნულ დარღვევებს და ითხოვს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი სპეციალისტის, 2025 წლის 3 ივნისს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ დღეის მდგომარეობით **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** მიერ არ არის შესრულებული 2025 წლის 24 მარტის №005294 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, 2019 წლის 03 დეკემბრიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" (სარეგისტრაციო კოდი №330090000.05.001.019104; გამოქვეყნების თარიღი 13.08.2018წ.). მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევაზე გათვალისწინებულია ჯარიმა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულია საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის "ა.დ." ქვეპუნქტის ამოქმედებამდე (აღნიშნული დასტურდება ქალაქ თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 16 სექტემბრის №01/1354 ბრძანებით, რომლითაც მშენებლობის ვადა განსაზღვრული იყო 2009 წლის 16 სექტემბრიდან 2010 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით), ხოლო საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს", შესაბამისად არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივარი, მიმდებარედ, N41.18.12.030.105 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** მიერ, განხორციელდა რძის პროდუქტის საწარმოს რეკონსტრუქციის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის №01/1354 16.09.2009წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია აგრეგატები, ლითონის კონსტრუქციები და კიბეები, რკინა-ბეტონის ფილები, დამხმარე ნაგებობები და ლითონის რეზერვუარები. ასევე რეზერვუარების მხარეს ფილა და ღობე სცდება საკადასტრო საზღვარს და გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე. სასაწყობე შენობა, შეცვლილია კარ-ფანჯრების რაოდენობა, გაბარიტი და ვიზუალი. სახურავზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები და მზის პანელები. შეცვლილია შენობის ნიშნულები. ფასადებზე დამატებით მოწყობილია აგრეგატები, სახანძრო კარადა, საკომუნიკაციო მილები და ღიობები, ასევე წყალშემკრები მილები. **პირველი სართულის გეგმა:** ფართში დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები და კიბეები. „1-3“ „ა-გ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ანტრესოლი. საწარმოო შენობა: შეცვლილია კარ-ფანჯრების რაოდენობა, გაბარიტი და ვიზუალი და შეცვლილია გეგმარება. შეცვლილია ნიშნულის დონეები. სახურავზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირები და მზის პანელები. შენობაზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები, აგრეგატები, საკომუნიკაციო მილები და ღიობები ცხაურებით, ლითონის მსუბუქი კონსტრუქციები და კიბეები. **ანტრესოლის გეგმა:** „1“ ღერძის გარეთ „ა-ე“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები ვიტრაჟებით და კარებით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ”, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.დ.” ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო”** ჯარიმად 64 000 (ოთხი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალა IV კვარტალი, მიმდებარედ, №01.18.13.039.105 (ყოფილი საკადასტრო კოდები №01.18.13.039.026 და №01.18.13.039.011) ს/კ-ზე, IV კლასის შენობა-ნაგებობის (რკინის პროდუქტების საწარმო) შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით რეკონსტრუქციისთვის;

2. **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო”-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის**

სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს „ვიმ-ბილ-დან საქართველო"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქუჩა №7)

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი გოგი ჩიქოვანი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.18.13.039.105**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892023362350 - 06/12/2023 17:12:24

მომზადების თარიღი
15/12/2023 11:13:09

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	კრწანისი		
01	**18**	**13**	**039/105**

მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება ფონიჭალა , IV მაცივარი , მიმდებარედ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 24994.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**01.18.13.039.070; 01.18.13.039.069; 01.18.13.039.072;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1,N2,N3,N4 საერთო ფართი 43.4 კვ.მ,N5,N6 - საერთო ფართი 422.7 კვ.მ,N7 საერთო ფართი 43.4 კვ.მ.N8,N9, - საერთო ფართი 504.4 კვ.მ,N10 - საერთო ფართი 504.4 კვ.მ,N11,N12,N13,N14 - საერთო ფართი 16.4 კვ.მ.N17,N18- საერთო ფართი 399.8 კვ.მ.,N19 - საერთო ფართი 5.3 კვ.მ,N20 საერთო ფართი 7.9 კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892023362350 , თარიღი 06/12/2023 17:12:24
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/12/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ყიდვა გაყიდვის შესახებ , დამოწმების თარიღი:03/08/2016
- მიწის ნაკვეთის გეგმა. , დამოწმების თარიღი:24/03/2009 , ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახური
- გადაწყვეტილება N1725393 , დამოწმების თარიღი:10/02/2015 , თბილისის არქიტექტურის სამასახური
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:01/02/2008 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- მიწის ნაკვეთის გეგმა. , დამოწმების თარიღი:24/03/2009 , ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახური
- ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ყიდვა გაყიდვის შესახებ , დამოწმების თარიღი:03/08/2016
- გადაწყვეტილება N1359466 , დამოწმების თარიღი:30/06/2014 , თბილისის არქიტექტურის სამასახური
- გადაწყვეტილება N1725393 , დამოწმების თარიღი:10/02/2015 , თბილისის არქიტექტურის სამასახური
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:01/02/2008 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- მიწის ნაკვეთის გეგმა. , დამოწმების თარიღი:24/03/2009 , ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახური
- ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ყიდვა გაყიდვის შესახებ , დამოწმების თარიღი:03/08/2016
- გადაწყვეტილება N1359466 , დამოწმების თარიღი:30/06/2014 , თბილისის არქიტექტურის სამასახური
- გადაწყვეტილება N1725393 , დამოწმების თარიღი:10/02/2015 , თბილისის არქიტექტურის სამასახური
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:01/02/2008 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- მიწის ნაკვეთის გეგმა. , დამოწმების თარიღი:24/03/2009 , ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახური
- ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ყიდვა გაყიდვის შესახებ , დამოწმების თარიღი:03/08/2016
- გადაწყვეტილება N1359466 , დამოწმების თარიღი:30/06/2014 , თბილისის არქიტექტურის სამასახური
- გადაწყვეტილება N1725393 , დამოწმების თარიღი:10/02/2015 , თბილისის არქიტექტურის სამასახური
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:01/02/2008 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

- გადაწყვეტილება N1359466 , დამოწმების თარიღი:30/06/2014 , თბილისის არქიტექტურის სამსახური

მესაკუთრეები:
შპს "ვიმ-ბილ-დან საქართველო", ID ნომერი:204546553

მესაკუთრე: **აღწერა:**

შპს "ვიმ-ბილ-დან საქართველო"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: **102019002696 03/01/2019 18:18:37**
  შპს ვიმ-ბილ-დან საქართველო ს/ნ 204546553
  საგანი: **არასრული მთელი ქონება, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება ვრცელდება მთელ ქონებაზე გარდა ბილ-დან საქართველოს (ს/ნ 204546553) საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე.**
  საფუძველი: **შეტყობინება, N007171, 04.01.2018, შემოსავლების სამსახური**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge